ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3059501

ნომერი: AR1467307

თარიღი : 28.12.2016

გაცემის თარიღი : 26.01.2017

გაცნობის თარიღი : 26.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მესხიშვილი , N 12 / ქალაქი თბილისი , შესახვევი ავლაბრის , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ქიშმარეიშვილი პ/ნ 01024018103
- თბილისი ბახტრიონის ქ. N 28 ბ. 19

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1055715
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.12.2013

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციისაგან განსხვავებით ნაწარმოები მშენებლობის

ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა მოქ. ნ. ქიშმარეიშვილის 2016 წლის 28 დეკემბრის № AR1467307 განცხადება, რომლითაც ითხოვს ქ. თბილისში, მესხიშვილის ქ. N12 / ავლაბრის შესახვევი N5–ში საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე, არქიტექტურული პროექტის დარღვევით ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოების ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას.

საკითხის შესწავლისას დადგინდა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 24.12.2013 წლის №1055715 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – ისანი), მესხიშვილის ქ. N12 / ავლაბრის შესახვევი N5–ში, ი.მ.ა. ,,მესხიშვილი–12''–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შერეული ფუნქციის (საოფისე, საცხოვრებელი) შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2013 წლის 25 დეკემბრიდან 2014 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით; 22.12.2014 წლის AR1274299 განაცხადის საფუძველზე სამსახურის 12.01.2015 წლის №1677179 შევიდა ცვლილება მშენებლობის ნებართვაში და მშენებლობის დასრულების თარიღი განისაზღვრა 2015 წლის 25 ივნისი. 15.07.2015 წლის AR1325410 განაცხადის საფუძველზე 05.08.2015 წლის N2049953 ბრძანებით მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლასთან დაკავშირებით გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 7 აგვისტოდან 2016 წლის 7 თებერვლის ჩათვლით.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, მესხიშვილის ქ. N12 / ავლაბრის შესახვევი N5-ში სამშენებლო სამუშაოების შემოწმებისას დადგინდა დარღვევები, რის გამოც 2016 წლის 29 თებერვალს №ბ-40997/12 ბრძანებით მოქ. ნ. ქიშმარეიშვილს უარი ეთქვა საპროექტო ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე (ასევე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2016 წლის 08 ნოემბრის N16/292497 წერილი).

წინამდებარე განცხადებით წარმოდგენილი ფოტოსურათებისა და განმარტებითი ბარათის განხილვის შედეგად, სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 62–ე მუხლის პირველი პუნქტის "პ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ადასტურებს განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობას და მის დასაშვებობას.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.